ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან და ფულის ნაშთისაგან სალაროში. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით.

კომპანი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია, საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს, ან საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის კომპანიის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. საწარმოს ვალდებულება არის მისი მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატება, რომელიც მიღებულ იქნა საწარმოს მოგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანია ეწოდება იმ საწარმოს, სადაც მშობელ კომპანიას გააჩნია ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც მშობელ კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც მშობელი კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეითება მთლიანად.

შვილობილი კომპანიის შეძენის აღსარიცხავად გამოიყენება შეძენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი არის წილი შვილობილ კომპანიაში, რომელიც არ ეკუთვნის მშობელ კომპანიას. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიის უმცირესობაში მყოფი აქციონერების წილის ღირებულებას. ჯგუფი არამაკონტროლებელ წილს აფასებს შვილობილის წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად თუ როგორ შეიცვალა მფობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არამაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში, რომელიც მიეკუთვნება მშობელი კომპანიის მფლობელებს.

წინასწარ გადახდილი ავანსები

წინასწარ გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება როგორც არა-მიმდინარე, როდესაც საქონლის ან მომსახურების მიღებას კომპანია ელოდება 1 წელზე მეტ დროში, ან როდესაც წინასწარ გადახდილი ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარების მომენტში კლასიფიცირდება გრძელვადიანად. აქტივის შესაძენად გაწეული წინასწარ გადახდა გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და მოსალოდნელია მასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა. სხვა წინასწარ გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, როდესაც კომპანია მიიღებს მასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ კომპანია ვერ მიიღებს წინასწარ გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ საქონელს ან მომსახურებას, შესაბამისად, ავანსები ჩამოიწერება და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

კომპანია ხარჯს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები ცვდება განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებაზე აქტივის გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის მიღების პერიოდთან დაკავშირებით. აღნიშნული შეფასება პერიოდულად გადაიხედება. შეფასებების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენას იქონიოს აქტივების საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი პერიოდების ცვთის ხარჯზე. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

3 შესადარისი ინფორმაციის კორექტირების გავლენა

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გამოშვებული 2020 წლის 4 თებერვალს, იქნა გადასინჯული და ხელახლა გამოშვებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მიზნით.

წინამდებარე ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ასევე განახლებულია შენიშვნა 15 „საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები“. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ცვლილება შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მოვლენებით.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 შენიშვნები

4 ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	223,043	156,736	12,309	177,200	390	569,678
შეძენები	37,604	1,578	585	-	-	39,767
გასვლა	-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	260,647	158,314	12,894	177,200	390	609,445
აკუმულირებული ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	138,901	108,408	8,252	96,077	-	351,638
ცვეთა	39,292	23,962	1,025	35,441	-	99,720
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	178,193	132,370	9,277	131,518	-	451,358
საბალანსო ღირებულება						
ნაშთი 12/31/2018	84,142	48,328	4,057	81,123	390	218,040
ნაშთი 12/31/2019	82,454	25,944	3,617	45,682	390	158,087

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,233,461	1,022,672
გადახდილი ავანსები	654,002	729,579
მოთხოვნები არარეზიდენტისათვის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	748,401	82,706
დეპოზიტები	37,247	15,675
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7,513	-
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(908,130)	-
სულ	1,772,494	1,850,632

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს პროცენტი არ ერიცხება, გამოხატულია ლარში და ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, როგორც წესი, 36-დღიან ვადაში იფარება (2018 წელი-19 დღე). მომხმარებლებს მიეცემათ 30-დღიანი საშელავათო პერიოდი და მათი დებიტორული დავალიანებები ვადაგადაცილებულად ჩაითვლება მინიმუმ 31 დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში.

2019 და 2018 წლებში მოძრაობები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში და ანარიცხების რეზერვებში შესაძლოა შემდეგი სახით შეფასდეს:

2018 წლის 31 დეკემბერი	-
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	908,130
ანარიცხების ჩამოწერა	-
2019 წლის 31 დეკემბერი	908,130

6 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.12.2019	31.12.2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	389,017	292,809
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	92,557	505,645
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	13,446	8,233
სულ	495,019	806,687

ფულადი სახსრები განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკებში.

საბანკო ანგარიშებზე ერიცხება უმნიშვნელო პროცენტი 2019 და 2018 წლის განმავლობაში.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შენიშვნები

7 კაპიტალი

ჯგუფის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 427,833 ლარს, მიმდინარე პერიოდის ზარალმა ჯგუფის მიზნებისთვის შეადგინა 697,644 ლარი. წლის განავლობაში ჯგუფმა გასცა საბოლოო მფლობელზე 105,777 ლარის დივიდენდი.

8 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2019	31.12.2018
კრედიტორული დავალიანება	1,569,775	1,175,401
მიღებული ავანსები	795,213	989,315
გადასახდელი ხელფასები	114,773	98,874
ვალდებულებები არარეზიდენტის მიმართ	60,721	131,065
სხვა კრედიტორული დავალიანება	89,950	228,267
სულ	2,630,433	2,622,922

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უპროცენტოა და, ჩვეულებრივ, 2019 წელს 43 დღეში იფარება, ხოლო 2018 წელს - 36 დღეში.

9 შემოსავალი

	2019	2018
შიდა ტურები	14,953,815	19,947,413
შემოსავალი ავიახაზების სააგენტო მომსახურებიდან	3,010,196	2,111,183
შემოსავალი ბილეთებიდან	1,439,459	2,358,985
გარე ტურები	565,147	687,353
შემოსავალი ექსკურსიებიდან	426,269	893,868
სხვა შემოსავალი	234,565	105,609
სულ	20,629,451	26,104,412

10 თვითღირებულება

	2019	2018
სასტუმრო მომსახურების ხარჯი	10,073,838	14,571,301
შრომის ანაზღაურება	2,715,160	2,012,423
ტრანსპორტირების ხარჯი	1,879,494	2,454,218
კვებითი მომსახურების ხარჯი	600,244	673,506
დაცვის ხარჯი	256,073	182,946
საექსკურსიო მომსახურების ხარჯი	167,588	242,520
სხვა თვითღირებულება	153,752	390,948
სულ	15,846,148	20,527,863

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შენიშვნები

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასები	2,590,685	2,369,062
ცვლილება მოთხოვნების ანარიცხებში	908,130	-
იჯარის ხარჯი	416,397	657,792
რეკლამის ხარჯი	360,532	820,198
კომუნიკაციის ხარჯები	164,683	46,437
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	116,950	91,975
საკონსულტაციო ხარჯი	105,116	515,371
ცვეთა და ამორტიზაცია	101,728	121,644
მივლინების ხარჯი	65,485	94,204
სხვა საოპერაციო ხარჯები	467,526	56,009
სულ	5,297,231	4,772,692

12 წმინდა მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან

	2019	2018
კურსთა შორის სხვაობით მოგება		
ფული	90,724	3,208
დარიცხული მოთხოვნები	403,586	38,861
დარიცხული დავალიანება	6,239	4,801
სულ	500,549	46,870
კურსთა შორის სხვაობით ზარალი		
ფული	103,910	143,541
დარიცხული მოთხოვნები	198,844	100,234
დარიცხული დავალიანება	10,975	5,666
სულ	313,729	249,441
წმინდა მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	186,820	(202,571)

13 მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის მოგების გადასახადმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 22,154 ლარი (2018: 0 ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. პირობითი მოგების

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შენიშვნები

გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

14 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან
ოპერაციები მმართველ რგოლთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

	2019	2018
მმართველი რგოლის შრომის ანაზღაურება	185,458	246,873

ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულია 2019 და 2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები:	2019	2018
შემოსავლები	216,545	-
ხარჯები	136,009	97,492
მიღებული სესხები	24,964	24,964
სულ	439,932	11,032,376
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები:	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	62,414	94,109
სულ		

15 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 13 ოქტომბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აქციონერებზე გაცემული დივიდენდი შეადგენს 560,128 ლარს.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ. კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოგისტიკური ჯაჭვების წარმოქმნასა და ამცირებს საგარეო და საშინაო მოთხოვნილებას. ამასთანავე იზრდება რისკის შეუფასებლობა და გაურკვევლობა მომავლის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლოდროინდელი საშინაო და გლობალური მოვლენები ვირუსის შედეგად არის გამოწვეული, ჩვენ დროულად განვიხილეთ და გადავხედეთ კომპანიის სამომავლო რისკებს. დღეისათვის, ამ კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი. შესაბამისად, ფინანსური და საოპერაციო მოქმედებები ერთეულის სამომავლო პერსპექტივაზე ამჟამად ვერ განისაზღვრება.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“

2019 წლის მმართველობის ანგარიშგება



სარჩევი

1. შესავალი	2
2. საქმიანობის მიმოხილვა	3
3. ფინანსური მაჩვენებლები	6
4. რისკ ფაქტორები	7
5. სამუშაო გარემო	9
6. კორპორატიული მართვის სტრუქტურა	10
7. სამომავლო გეგმები	12

შესავალი

მოხარული ვართ წარმოგიდგინოთ სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშის მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ ჩვენი საქმიანობის სპექტრი, რომელიც დაფუძნებულია სწორხაზოვან მისიაზე, მაღალ ღირებულებებსა და პასუხისმგებლობის გრძნობაზე.

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგის“ და მასში შემავალი შვილობილი კომპანიების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ასევე ფინანსურ მაჩვენებლებზე დაფუძნებულ შედეგებს და სამომავლო გეგმებსა, თუ პერსპექტივებს.

აღნიშნული დოკუმენტით დარეგულირებულია ისეთი არსებითი კომპონენტები, როგორიცაა რისკ-ფაქტორები, სამუშაო გარემო და კორპორატიული მართვის სტრუქტურა.

იმის გათვალისწინებით, რომ სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ წარმოადგენს ჰოლდინგური ტიპის ორგანიზაციას და აერთიანებს სამ შვილობილ კომპანიას, შემავალი კომპანიების მმართველობის ანგარიშგებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, შესაბამისად მენეჯმენტის მხრიდან წარმოდგენილია სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგის“ მმართველობის ანგარიშგება.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ მოხსენიებული იქნება შემდგომში, როგორც „კომპანია“, ხოლო მისი შვილობილი კომპანიები ერთობლივად, როგორც „ჯგუფი“.

საქმიანობის მიმოხილვა

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია 2010 წლის 14 აპრილს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404859685, იურიდიული მისამართით: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N29, ფაქტობრივი ადგილსამყოფელით: ქ. თბილისი, ამაღლების ქ. N47.

ჰოლდინგი საქმიანობას ეწევა მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების მოთხოვნათა დაცვით. საზოგადოების საქმიანობის საგანია ტურისტული და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევა, როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ისევე მის ფარგლებს გარეთ.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“-ს საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან: გიორგი შენგელია - 56.85% და მალხაზ ჯაბნიაშვილი - 43.15%.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება 5 000 (ხუთი ათასი) ლარით. კომპანიას გამოშვებული აქვს 500 000 (ხუთასი ათასი) ცალი ჩვეულებრივი აქცია. 1 ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 ლარს. საზოგადოება აქციათა რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორის, კერძოდ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“-ს (ლიცენზია N70006) მეშვეობით.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ წარმოადგენს ჰოლდინგური ტიპის საზოგადოებას და ჯგუფში აერთიანებს ტურიზმის სფეროში მოღვაწე შვილობილ კომპანიებს, კერძოდ: სს „ჯორჯია დესთინეიშენ მენეჯმენტი“ GDM და სს „ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსი“-ს GASA და სს „ნექსტ-ი“-ს.

სს „ჯორჯია დესთინეიშენ მენეჯმენტი“ GDM

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“-ს ჯგუფში შემავალი კომპანიაა სს „ჯორჯია დესთინეიშენ მენეჯმენტი“ GDM, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია 2010 წლის 13 აგვისტოს, სახელწოდებით „ლიბერთი ჯორჯია“, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404869647, იურიდიული მისამართით: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N29, ფაქტობრივი ადგილსამყოფელით: ქ. თბილისი, ამაღლების ქ. N47.

ორგანიზაციის თავდაპირველი სახელწოდების ცვლილება განხორციელდა 2016 წლის 18 ოქტომბერს და კომპანიამ ოპერირება განაგრძო სს „ჯორჯია დესთინიშენ მენეჯმენტის“ სახელწოდებით.

სს „ჯორჯია დესთინიშენ მენეჯმენტი“ GDM საქმიანობს შემომყვანი ტურიზმის მიმართულებით და მიეკუთვნება იმ მცირე კომპანიათა რიცხვს, რომელიც კლიენტებს სთავაზობს სრულ სამოგზაურო სერვისს მთელი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მასშტაბით.

ტურისტული კომპანია დაარსების დღიდან დღემდე ღირსეულად იკავებს თავის ნიშას ტურისტულ ინდუსტრიაში. კომპანია ძალიან დინამიურად ვითარდება თავის საქმიანობაში, რაც გამოიხატება სანდო პარტნიორების მოზიდვაში მთელი მსოფლიოს ირგვლივ.

სს „ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსი“ GASA

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგის“ ჯგუფში შემავალი კომპანიაა აგრეთვე სს „ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსი“ GASA საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია 2010 წლის 17 აგვისტოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, საიდენტიფიკაციო ნომრით: 400007158, იურიდიული მისამართით: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N29, ფაქტობრივი ადგილსამყოფელით: ქ. თბილისი, ამაღლების ქ. N47.

2017 წლის 29 მაისს განხორციელდა კომპანიის რეორგანიზაცია და მოხდა მისი გარდქმნა სააქციო საზოგადოებად.

სს „ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსი“ ოპერირებს გამყვანი ტურიზმის მიმართულებით და სთავაზობს მომხმარებლებს ავია-ბილეთებისა და ტურისტული პაკეტების რეალიზაციას. კომპანია 2010 წელს გახდა Pegasus Airlines-ის გენერალური სავაჭრო აგენტი საქართველოში. აღნიშნულმა ავიახაზებმა დაიწყო ფრენების განხორციელება საქართველოდან და უკვე მეცხრე წელია, რაც კომპანია წარმატებით ემსახურება ქართულ ბაზარს.

2014 წლიდან კი სს „ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსი“ GASA წარმოადგენს Air Arabia Airlines-ის გენერალურ სავაჭრო აგენტს საქართველოში.

სს „ნექსტ-ი“

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“-ს ჯგუფში შემავალი კიდეც ერთი კომპანიაა სს „ნექსტ-ი“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია 2013 წლის 11 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 406106707, იურიდიული მისამართით: ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. N103, ფაქტობრივი ადგილსამყოფელით: ქ. თბილისი, ამაღლების ქ. N47.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგმა“ სს „ნექსტ-ი“-ს 100%-იანი სააქციო კაპიტალი შეისყიდა 2017 წლის 10 ივლისს.

სს „ნექსტ-ი“-ს საქმიანობა შეჩერებულია.

შპს „თრეველ ბუქი“

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგის“ ჯგუფში შემავალი კომპანიაა აგრეთვე შპს „თრეველ ბუქი“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია 2014 წლის 26 ივნისს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405049371, იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N 24გ, სადარბაზო 2, სართული 9, ბ. N49.

სს „ნექსტ-ი“ წარმოადგენს შპს თრეველ ბუქის აქციების 52 %-იანი წილის მესაკუთრეს.

შპს „თრეველ ბუქი“-ს საქმიანობა შეჩერებულია.

ფინანსური მაჩვენებლები

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ პერიოდულად ახორციელებს ბაზრისა და ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს, რომლის გათვალისწინებით, შიდა და გარე ფაქტორებთან ერთად, ხდება სამომავლო ხედვებისა და რისკების ჩამოყალიბება.

ჰოლდინგი საანგარიშო წლის დადგომამდე სამომავლო ხედვებისა და წარსული გამოცდილების საფუძველზე აყალიბებს გეგმებს, რომლებზეც კომპანია მთელი წლის განმავლობაში ახდენს სწორებას.

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2019	2018
შემოსავალი	20,629,451	26,104,412
თვითღირებულება	(15,846,148)	(20,527,863)
მთლიანი მოგება	4,783,303	5,576,549
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,297,231)	(4,772,692)
წმინდა მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	186,820	(202,571)
საპროცენტო შემოსავალი	15,753	-
საპროცენტო ხარჯი	(47,622)	(64,382)
სხვა შემოსავალი	44,651	268,492
სხვა ხარჯები	(10,794)	(308,864)
მოგება დაბეგვრამდე	(325,120)	496,532
მოგების გადასახადის ხარჯი	(22,154)	-
წმინდა მოგება/ზარალი	(347,274)	496,532
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	(347,274)	496,532
წლის სრული შემოსავლის განაწილება:		
მშობელი კომპანიის მფლობელები	(697,644)	347,810
არამაკონტროლებელი წილი	350,370	148,722
სულ	(347,274)	496,532

აქვე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ კომპანიას.

რისკ-ფაქტორები

კომპანია მოღვაწეობს საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისად ჰოლდინგის და ჯგუფის საქმიანობის მომგებიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო რისკ-ფაქტორები, რომელთაგან გამოვყოფთ შემდგომს:

1. გლობალური ეკონომიკური პირობები;
2. მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური ვითარებები;
3. ადგილობრივი სავალუტო ბაზრის არასტაბილურობა;
4. გარე და შიდა პოლიტიკური გამწვავებები.

როგორც წესი კომპანიის ფინანსური სტაბილურობა და შესაბამისად მოთხოვნა შეთავაზებულ პროდუქტებსა და სერვისზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ცალსახაა, რომ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ნეგატიურ გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება ტურიზმზე.

ინფორმაციულ-ტექნოლოგიური უსაფრთხოება

21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი საფრთხეა მომეტებული კიბერ დანაშაულის შეტევები. მსგავსი თავდასხმების პრიორიტეტული სამიზნე კი წარმატებული ბიზნესია. კომპანია იყენებს ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს, რომელთა საშუალებითაც ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისაგან, ისე სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადინება ქსელის შიგნით.

კომპანია აგრეთვე იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფებს, რომლის თანახმადაც ელექტრონულად კონტროლდება ყველა მიმდინარე ცვლილება, რაც ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებსა და თანამშრომელთა პერსონალურ კომპიუტერებზე. ამასთან ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომპანიას არაერთხელ აქვს ჩატარებული თანამშრომელთათვის შესაბამისი ინსტრუქტაჟი, თუ რა სახის რეაგირება უნდა მოახდინონ ნებისმიერი საეჭვო შემთხვევის დროს.

კონკურენტუნარიანი ბაზარი

მრავალწლიანი გამოცდილების, კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიუხვის და ახალი ბაზრების მოზიდვის ტენდენციების გათვალისწინებით სს „კავკასიის ტურისტულ ჰოლდინგს“

აქვს ამბიცია იყოს ნომერ პირველი კომპანია ტურიზმის სფეროში, თუმცა კომპანიის შემოსავლების შემცირება შესაძლოა გამოიწვიოს ისეთმა რისკ-ფაქტორებმა, როგორცაა ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენცია.

საკანონმდებლო რეგულაციები

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება, შიდა სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტებით. აგრეთვე კომპანია პრაქტიკაში აქტიურად იყენებს და ითვალისწინებს საერთაშორისო დანაწესებსა და რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური კონსულტანტებისაგანაც იღებს რჩევებს იმ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხება საქმიანობის სფეროს, რათა კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდეს სამეწარმეო საქმიანობა.

რისკ-ფაქტორად შესაძლოა სამომავლოდ იქნეს განხილული მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების იმგვარი ცვლილებები, რომლებიც არსებითად შეაფერხებს კომპანიის საქმიანობას.

სამუშაო გარემო

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ და აგრეთვე მის ჯგუფში შემავალ კომპანიებში ჯამურად დასაქმებულთა რაოდენობაა 155 ადამიანი. კომპანიის მმართველი გუნდის ძირითადი საყრდენი კვალიფიციური ადამიანური რესურსია, თუმცა კადრების შერჩევისას უამრავ კანდიდატაგან კომპანია ხშირად აკეთებს არჩევანს პერსპექტიულ და მოტივირებულ ახალგაზრდებზე. კომპანია მუდმივად ზრუნავს თავის დასაქმებულებზე, რაც გამოიხატება მათთვის სამართლიანი ანაზღაურების მიცემაში, დამატებითი ბონუსების გაცემასა და არაერთი წახალისების ღონისძიების გამოყენებაში.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ იაზრებს და კისრულობს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც ითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმისა და დაკისრებული მოვალეობების მიმართ. სწორედ ამ მიზნით კომპანიას შემუშავებული აქვს შრომის შინაგანაწესი, რომელიც წარმოადგენს თანამშრომელთა ძირითად სახელმძღვანელოს.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას დაფუძნების დღიდან დღემდე არ ჰქონია არცერთი შრომითი დავა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს შრომითი დასაქმების საიმედოობაზე.

ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა


კომპანიას ერთ-ერთ პრიორიტეტად მიაჩნია არსებული და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლინების, მართვისა და პრევენციის საკითხები. ასეთ სიტუაციებში ჰოლდინგი აქტიურად ერთვება და იღებს შესაბამის ზომებს, რათა დაიცვას კომპანიის, მომხმარებლების, თანამშრომლებისა და პარტნიორების ინტერესები, შესაბამისი კონფლიქტის აღმოფხვრის რელევანტური გზების მოძიებით.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ და მასში შემავალი კომპანიები მკაცრად იცავენ პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და საერთაშორისო რეგულაციებს. თანამშრომელთა და მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები დაცულია უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

კორპორატიული მართვის სტრუქტურა

ჯგუფის სტრუქტურა:

ჰოლდინგის ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიების მფლობელობითი სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:



კომპანიის კორპორატიული მართვის სტრუქტურა:

აქციონერთა საერთო კრება

საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. აქციონერები იღებენ მონაწილეობას კომპანიის მართვაში და ახორციელებენ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს.

აქციონერთა კრება მოწვეულ უნდა იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად. აქციონერთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს იმ საკითხებზე, რაც პირდაპირ დადგენილია საზოგადოების წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭო

საზოგადოების საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისაგან, რომელთა არჩევა ხდება ერთწლიანი პერიოდით.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია და უშუალო ფუნქციები დარეგულირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და საზოგადოების მოქმედი წესდებით.

გენერალური დირექტორი

საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორის მიერ.

გენერალური დირექტორი არის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც წარმართავს და ხელმძღვანელობს კომპანიის აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი სტრატეგიისა და გეგმის აღსრულებას.

გენერალური დირექტორის უფლებამოსილება რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და საზოგადოების მოქმედი წესდებით.

მიმართულების დეპარტამენტი

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული მიმართულების დეპარტამენტებისგან, რომლებიც ექვემდებარებიან კომპანიის გენერალურ დირექტორს და/ან სამეთვალყურეო საბჭოს.

დეპარტამენტის საქმიანობას წარმართავს ხელმძღვანელი, რომელიც უძღვება კონკრეტულ მიმართულებას. სწორედ დეპარტამენტები და მათი დანაყოფები არიან პასუხისმგებლები კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ცალკეული დეპარტამენტისათვის დამატებით ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქციამოვალეობების აღწერილობით.

კორპორატიული ეთიკა

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ თავისი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენის ან ზეწოლისგან, ხელმძღვანელობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და შემუშავებული ეთიკის ნორმების თანახმად, რომელთაგან უმთავრესია სამართლიანობის, თანასწორობის, თანამშრომელთა ჩართულობის, გამჭვირვალობის, კონფიდენციალობის და ანგარიშვალდებულების პრინციპები.

სამომავლო გეგმები

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“-ს და მის ჯგუფში შემავალი კომპანიების მთავარი მიზანია, რომ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მომხმარებლებს შესთავაზონ საუკეთესო პროდუქტი მათთვის ხელმისაწვდომ ფასად. ამ მიზნის უკეთესად მისაღწევად დაგეგმილია, ახალი ბაზრებისა და მიმართულებების ათვისება, რის შედეგადაც მოიმატებს ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობა. ეს ყოველივე კი საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

თანამედროვე გამოწვევების ფონზე, ჯგუფის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ კომპანიის მიზანია მოახერხოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმებულთათვის ისეთი პირობების უზრუნველყოფა, რაც გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ და მისი ჯგუფი ორიენტირებულია მსხვილი და ინოვაციური პროექტების განხორციელებაზე, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით და მრავალწლიანი გამოცდილებით, შექმნის კონკურენტუნარიან ფასს.

წინამდებარე ანგარიში დამტკიცებული და ხელმოწერილია სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“-ს სახელით 2021 წლის 13 ოქტომბერს.

გენერალური დირექტორი

/გ. შენგელია/

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“

დეპარტამენტის საქმიანობას წარმართავს ხელმძღვანელი, რომელიც უძღვება კონკრეტულ მიმართულებას. სწორედ დეპარტამენტები და მათი დანაყოფები არიან პასუხისმგებლები კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ცალკეული დეპარტამენტისათვის დამატებით ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნიებული ფუნქცია-მოვალეობების აღწერილობით.

კორპორატიული ეთიკა

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ თავისი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენის ან ზეწოლისგან, ხელმძღვანელობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და შემუშავებული ეთიკის ნორმების თანახმად, რომელთაგან უმთავრესია სამართლიანობის, თანასწორობის, თანამშრომელთა ჩართულობის, გამჭვირვალობის, კონფიდენციალობის და ანგარიშვალდებულების პრინციპები.

სამომავლო გეგმები

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“-ს და მის ჯგუფში შემავალი კომპანიების მთავარი მიზანია, რომ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მომხმარებლებს შესთავაზონ საუკეთესო პროდუქტი მათთვის ხელმისაწვდომ ფასად. ამ მიზნის უკეთესად მისაღწევად დაგეგმილია, ახალი ბაზრებისა და მიმართულებების ათვისება, რის შედეგადაც მოიმატებს ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობა. ეს ყოველივე კი საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

თანამედროვე გამოწვევების ფონზე, ჯგუფის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ კომპანიის მიზანია მოახერხოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმებულთათვის ისეთი პირობების უზრუნველყოფა, რაც გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“ და მისი ჯგუფი ორიენტირებულია მსხვილი და ინოვაციური პროექტების განხორციელებაზე, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით და მრავალწლიანი გამოცდილებით, შექმნის კონკურენტუნარიან ფასს.

წინამდებარე ანგარიში დამტკიცებული და ხელმოწერილია სს „კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი“-ს სახელით 2021 წლის 13 ოქტომბერს.

გენერალური დირექტორი

/გ. შენგელია/